პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მხედარი

1-ლ და მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ფასი 3 კაპ.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებ სათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

170 (1165) | ხუთშაბათი, 11 ნოემბერი 1926 წ. | (1165) 170

# მხურვალე სალამი წითელ ჯარის ახალ ძალას!

## ბრძანება

### კავკასიის წითელდროშოვან არმიის ჯარებისადმი.

ქ. ტფილისი. № 285. 1926 წ. 6 ნოემბერი.

ამა წლის ნოემბერში კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რიგები ივსება 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდა მეომართა ახალი კადრებით.

ესალმება რა მათი სახით უკრაინის, ვოლგის მხარის, ჩრდილო-კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობას, არმიის რევოლიუციური სამხედრო საბჭო გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ეს ახალგაზრდობა მთელ თავის ძალას მისცემს სამხედრო სწავლებასა და არა მარტო თავისი წითელდროშოვანი არმიის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცების საქმეს.

არმიის რევოლიუციური სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა მეომრები კეთილსინდისიერად გააგრძელებენ თავიანთ წინაპართა—მე-11 და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მეომართა საქმეს, რომელმაც მოუტანა თავისუფლება აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს და განამტკიცა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი საბჭოთა კავშირის შორეულ განაპირა ადგილებში.

რევოლიუციური სამხედრო საბჭო { ლევანდოვსკი. ოსეპიანი.

## კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სარდლის მისალმება



დღევანდელი დღე ჩვენი კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ცხოვრებაში აღინიშნება იმით, რომ ჩვენს რიგებში შემოდის ახალი შევსება ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის სოფლებიდან და ქალაქებიდან.

ვესალმები რა მოსულ ამხანაგებს არმიის სახელით, რომელიც დაჯილდოებულია მუშურ გლეხური მთავრობის მიერ წითელი საბრძოლო დროშით, მსურს გამოვთქვა სურვილი და ღრმა რწმენა, რომ ჩვენი ახალგაზრდა ძალები, კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის მეთაურთა შემადგენლობის ხელმძღვანელობით და უფროს ამხ. წითელ არმაელთა დახმარებით, შესძლებენ აასრულონ ის ამოცანები, რომლებსაც აკისრებს მათ საბჭოთა ხელისუფლება და მუშურ გლეხური დარიბთა მასების ბელადი ლენინის საკავშირო კომუნისტური პარტია.

გაუმარჯოს 1904 წლიან ახალგაზრდობას, რომელიც მოდის ჩვენს მშობლიურ პროლეტარულ საბრძოლო ოჯახში.

მ. კ. ლევანდოვსკი

8/XI 26 წ.

## სალამი ახალ ცვლას!

### (კ.წ.დ.ა. პოლიტსამმართველოს უფ. მოადგილის ამხ. ოსეპიანის მისალმება)

ჩვენი კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ნაწილებში შემოდის ახალი ძალები. არმიაში მოდის 1904 წელში დაბადებული ახალგაზრდობა.

ყოველ წლობით უფრო და უფრო ფართოვდება მუშებისა და გლეხების რიგები, რომლებიც გაწვრთნილნი არიან სამხედრო საქმეში, შესწავლილი აქვთ ჩვენი საბჭოთა კავშირის დაცვის საქმე კაპიტალისტურ მტრების ზრახვათაგან,—საქმე დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისა.

წითელი არმია არის ჩვენი საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა შეიარაღებული კავშირის გამოხატულება. ეს შეიარაღებული კავშირი იცავს პროლეტარიატის დიქტატურას, იცავს მუშებისა და გლეხების მშვიდობიან შრომას, რომლებიც, ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებენ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში. წითელი არმია იცავს ყველა ხალხთა ეროვნულ მშვიდობიანობას, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთ ოჯახში—ჩვენი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირში.

ყოველ წლობით მტკიცდება მუშურ გლეხური წითელი არმიის საბრძოლო ძლიერება.

წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების საფუძველია მისი მეომრის რევოლიუციური შეგნება, მისი შეუდარებელი თავდადება მუშებისა და გლეხების ბრძოლის საქმეში მტრებზე საბოლოო გამარჯვებისთვის.

ამ რევოლიუციურ შეგნება და უმაგალითო ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი წითელი არმიის მეომარი იძენს და ზრდის თავის თავში ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც ძლიერია და იმარჯვებს თავისი რკინის დისციპლინით თავისი ბოლშევიკური რიგების მთლიანობით.

წითელი არმია, როგორც პროლეტარული რევოლიუციის საბრძოლო ძალა, სჭედს თავის შეუდრეკ ძლიერებას შეგნებულ მეომართა რკინის დისციპლინით და შემჭიდროებით. წითელი არმია რკინის დისციპლინის გარეშე ვერ დაამარცხებდა კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელისა და მეფის სხვა გენერლების თეთრგვარდიელთა ურდოებს, ვერ განდევნიდა საბჭოთა ქვეყნიდან მემამულეებსა და კაპიტალისტებს, არ აიძულებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ეცნოთ ჩვენი საბჭოთა კავშირი.

ჩვენთვის საჭიროა რკინის დისციპლინა წითელ არმიაში.

მტრები ჯერ კიდევ ბევრი გვყავს. საბჭოთა კავშირი გარშემორტყმულია კაპიტალისტური ქვეყნებით. მტერს შეუძლია თავს მოგვახვიოს ომი.

ნუ დავკარგავთ ერთ წუთსაც კი, გულმოდგინეთ ვისწავლოთ სამხედრო საქმე, დავაგროვოთ ცოდნა იმიტომ, რომ შეგვეძლოს ვიცნოთ და პასუხი გავსცეთ მუშებისა და გლეხების ხელისუფლების მტრებს, ვაძლიეროთ რკინის დისციპლინა არმიაში და ვიყოთ ყოველთვის მოწინავე და შეგნებული, ვიყოთ ყოველთვის ფხიზლად ჩვენი სოციალისტურ აღმშენებლობის სადარაჯოზე—აი რა მოეთხოვება ჩვენი მუშურ გლეხური წითელი არმიის მებრძოლს.

ამ მოთხოვნილებებს ახალგაზრდა ამხანაგები, რომლებიც შემოდიან კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის რიგებში, კეთილ სინდისიერად აასრულებენ.

მოძრაობაში წინ, ახალი წარმატებისაკენ ჩვენი არმიის საბრძოლო ძლიერების ამაღლების საქმეში—წვეულები უნდა იყონ და იქნებიან პირველ რიგებში.

სალამი წვეულებს, რომლებიც მოდიან ძველი მებრძოლ ამხანაგების შესაცვლელად!

ოსეპიანი.

## 1904 წლიან ახალწვეულებს

### ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტური რესპუბლიკის ყველა ხალხების, ყველა მშრომელთა, მუშებისა და გლეხების სახელით ჩემი მხურვალე სალამი და წარმატების სურვილი, სამხედრო საქმის შესწავლაში,—რაიც ჯერ კიდევ ესოდენ საჭიროა სსრკ-ს დიდი მუშურ-გლეხური ქვეყნისთვის,—1904 წლიან ახალწვეულთ, რომლებიც მოდიან ჩვენში უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკიდან და რსფსრ-დან და შემოდიან კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სახელოვან რიგებში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენს საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის მეათე წლის თავზე თქვენ მოდიხართ საპასუხისმგებლო სადარაჯოზე.

დეე, თქვენი ყოფნა ჩვენი მუშურ-გლეხური არმიის რიგებში იყოს აღნიშნული იმ სახელითა და წარმატებით, როგორითაც იყო აღნიშნული თქვენი წინაპრების ყოფნა, რომლებმაც სახელოვანად გაიარეს საბრძოლო გზა დიდ სამოქალაქო ომებში ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებიდან დღემდის. დეე, ისინი მისაბაძი მაგალითი იყვნენ თქვენთვის.

დეე, თქვენი მიმღები ამხ. მეთაურები, პოლიტმომუშავენი და ძველი ნამსახური წითელარმიელები იყვნენ თქვენთვის ისეთი მახლობელი ამხანაგები, როგორიც კი გყავდათ თქვენ დღემდის, თქვენი ყმაწვილობის დღეებში.

ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ არმიებში ახალგაზრდობას წვრთნიან კაპიტალის სასარგებლოდ,—რომელიც სჩაგრავს დღეს მშრომელ კაცობრიობას,—რათა ისინი გამოვიდენ თავისი ღვიძლი ძმების—მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან ადამიანურ ცხოვრებისთვის, თავისუფლებისთვის, შრომის ბატონობისათვის და ადამიანის მიერ ადამიანის ყვლეფის მოსასპობად.

ძვირფასო ამხანაგებო!

1917 წლის დიდმა ოქტომბერმა, კომუნისტური პარტიის, მისი დიდი შემომქმედის—ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით, გაანადგურა ჩვენში მყვლეფელთა ხელისუფლება.

მაგრამ მყვლეფელი კაპიტალისტები ჯერ კიდევ იმუქრებიან გაანადგურონ პროლეტარული რევოლიუციის კერა—საბჭოთა კავშირი და მით გადაარჩინონ თავიანთი არსებობა, თავიანთი კაპიტალი და შეაჩერონ მომწიფებული რევოლიუცია დასავლეთში, შეაჩერონ დაწყებული განმათავისუფლებელი რევოლიუციური მოძრაობა ჩინეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.

**მაგრამ ჩვენ თქვენთან ერთად უნდა ვიყოთ და ვიქნებით მუდამ მზად, და, კავკასიის წითელდროშოვან არმიაში სწავლებასთან ერთად, მთელ სახელოვან წითელ არმიასთან ერთად, ვიდგომებით სადარაჯოზე, და არა მხოლოდ დავიცავთ თავის მუშურ-გლეხურ ქვეყანას, არამედ შემთხვევისთანავე, მთელი ქვეყნის მშრომელთა გადამჭრელ ბრძოლის დროს, თავისი მუშურ-გლეხური მთავრობის მოწოდებით, დავდგებით მეომართა პირველ რიგებში.**

**გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!**

**გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების განუყრელ კავშირს!**

**გაუმარჯოს სსრკ-სა და მის განუყოფელ ნაწილს—ამიერკავკასიის ფედერატიულ საბჭოთა სოც. რესპუბლიკას!**

**გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან არმიას და გაუმარჯოს თქვენ, 1904 წლიანო ახალწვეულებო! კიდევ და კიდევ ჩემი მხურვალე სალამი მრავალტომიან და მრავალ ერიან ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელებისა და ხალხებისაგან.**

მიხა ცხაკაია.

8 ნოემბერი, 1926 წელი.

## ახალწვეულებს

### სსრკ-ს რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. უნშლიხტის წერილიდან

— რა ძირითადი ამოცანები სდგას ახალგაზრდა წითელარმიელის წინაშე?

**პირველი ამოცანა:**—დაცულ იქნას რკინის დისციპლინა მ. გ. წ. არმიის რიგებში. ჩვენს დისციპლინას არაფერი საერთო არ აქვს მეფისა და ბურჟუაზიული არმიის ჯოხის დისციპლინასთან.

ჩვენი დისციპლინა ეყრდნობა მუშათა კლასის თავდადებას კომუნიზმისათვის ბრძოლაში, ყველა ქვეყნის მშრომელთა მიერ თავიანთ მოვალეობის შეგნებას, ნებაყოფლობით დამორჩილებას მუშურ-გლეხური ხელისუფლების ორგანოებისა და მის მიერ დანიშნულ მეთაურებისადმი.

უდისციპლინოდ არ შეიძლება არსებობდეს ლენინის ძლიერი პარტია, არ შეიძლება იყოს მშრომელთა მასების მტკიცე ხელისუფლება, რომელსაც შეეძლოს მყვლეფელთა განადგურება და სოციალისტური სახელმწიფოს მოწყობა. უდისციპლინოდ არ შეიძლება იყოს წითელი არმია, ვინაიდან „უდისციპლინოდ თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრება ძნელია“. (ლენინი. საბჭოთა მე-4 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვიდან).

**მეორე ამოცანა არის სწავლა.**

ძველ არმიაში 3 წლიანი სამსახური იყო. ეხლა სამსახურის ვადა შემცირებულია, მოთხოვნილება კი მეტია. თანამედროვე ომი სამხედრო საქმის მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს მეომრისაგან. ამიტომ ახალწვეულის მიერ საჭიროა ძალღონის დაჭიმვა, რათა სავსებით შეითვისოს სამხედრო ცოდნა და ერთი საათიც არ დაჰკარგოს. სამწყობრო მეცადინეობის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უბრალო სიაროულის სწავლა არაა. აქ წითელარმიელი სწავლობს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ლაშქრობისა და ბრძოლის დროს. წითელარმიელი კარგად უნდა იცნობდეს თავის იარაღს, ვინაიდან გაჭირვების დროს შაშხანა, ხმალი და ტყვიამფრქვევი იხსნიან მას და საშუალებას მისცემენ დაამარცხოს მტერი.

წითელარმიელმა ყოველმხრივ უნდა განავითაროს თავისი ფიზიკური ძალა. წითელარმიელმა უნდა იცოდეს წესდება, რომელიც აძლიერებს ცოდნასა და მეომართა ნებისყოფას.

საყარაულო სამსახური—სიფხიზლის, დისციპლინის და სახელმწიფო დოვლათის დაცვის სკოლაა.

მინდვრად, ბანაკად და მანევრებზე წითელარმიელი გადის მნიშვნელოვან გზას საბრძოლო თვისებათა განსავითარებლად, სწავლობს მოქმედებას საბრძოლო გარემოებაში.

წითელარმიელმა უნდა შეივსოს თავისი ცოდნა სასროლო წრეებში, შეჯიბრებებზე და სხვ.

წითელარმიელმა უნდა ისწავლოს სახალხო დოვლათზე მოფრთხილება, ვინაიდან მოუფრთხილებლობა სახალხო ქონებისადმი შესუსტებს წითელი არმიის ძლიერებას და დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს მეურნეობას.

**მესამე ამოცანაა:**—გაძლიერებულ იქნას პოლიტიკური შეგნებისა და საერთო კულტურული განვითარების დონე.

წერა-კითხვის უცოდინარ წითელარმიელს არ შეუძლია წარმატებით გაიაროს სწავლა, ხოლო პოლიტიკურად უცოდინარს—გახდეს შეგნებული მეომარი. ყურადღებით უნდა მოვეპყრათ არა მარტო სავალდებულო პოლიტსწავლებას, არამედ მონაწილეობაც მივიღოთ კლუბთან არსებულ სკოლებსა და წრეებში, განვვითარდეთ დამოუკიდებელი კითხვით, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ პარტიისა და კომკავშირის მუშაობაში.

წითელარმიელი არა მარტო მეომარია, არამედ შეგნებული საზოგადო მოღვაწეც, ახალი ცხოვრების მშენებელი.

ამ ძირითადი ამოცანების სამაგალითო ამსრულებლებად ყოველგან და ყოველთვის პირველ რიგში ჩვენი კომკავშირლები უნდა იყვნენ.

მხნე რევოლიუციური განწყობილება, ჩვენი ახალწვეულების სადი სული საიმედო თავდებია იმის, რომ მათგან გამოიზრდება წითელი არმიის საუკეთესო მეომრები, რომ მათ მფარველობის ქვეშ მთელი ქვეყანა გააგრძელებს მშვიდობიან შრომას, სოციალიზმის შენებას!

მთელი ქვეყანა სიხარულითა და სიამაყით შეჰყურებს, თუ როგორ იზრდება, ვითარდება და ძლიერდება ჩვენი ახალგაზრდა თაობა, როგორ მზადდება ახალი ცვლა. მთელი ქვეყანა უცდის თქვენი სწავლების შედეგებს.

მაშ გაამართლეთ იმედები!

# სკპ(ბ) მე-15 პარტკონფერენცია.

## ამხ. სტალინის სიტყვის დასასრული.

### ტროცკიზმი ლენინიზმის წინააღმდეგ

მოჰყავს რა ადგილები ლენინისა და ტროცკის წერილებიდან, ამხ. სტალინი ამტკიცებს, რომ ამხ. ტროცკის ხაზი ეწინააღმდეგება ლენინიზმს და გამოჰყავს შემდეგი დასკვნა:

„ამრიგად ჩვენ გვაქვს ორი ხაზი ძირითად საკითხში: რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვებითი აღმშენებლობა ჩვენს ქვეყანაში და შესაძლებელია ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ ელემენტების კაპიტალისტურ ელემენტებზე გამარჯვება—ეს ხაზი ლენინის, ლენინიზმის, და მეორე ხაზი ტროცკის, ტროცკიზმის.

ლენინიზმი სჭრის ამ საკითხს დადებითად, ხოლო ტროცკიზმი, პირიქით, უარჰყოფს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში ჩვენი რევოლიუციის შინა ძალების საფუძველზე. თუ პირველი ხაზი არის ჩვენი პარტიის ხაზი, მეორე წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებთან მიახლოებას. ამიტომაა ნათქვამი ოპოზიციურ ბლოკის შესახებ თეზისებში, რომ ტროცკიზმი არის სოციალ-დემოკრატიული გადახრა ჩვენს პარტიაში.

აქედან გამომდინარეობს უეჭველი ფაქტი, რომ ჩვენი რევოლიუცია არის სოციალისტური მსოფლიო რევოლიუციის გამოსავალი წერტი და აგრეთვე ბაზა, რომელზედაც აშენდება სრული სოციალისტური საზოგადოება ჩვენს ქვეყანაში.

### საბოლოო გამარჯვება მხოლოდ მსოფლიო ფარგლებში შეიძლება

საბოლოო გამარჯვებისთვის საჭიროა დღევანდელი კაპიტალისტური რკალი შეიცვალოს სოციალისტურით, საჭიროა პროლეტარიატმა გაიმარჯვოს კიდევ რამოდენიმე ქვეყნებში მაინც. მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი გამარჯვება საბოლოოდ.

აი რატომ ვთვლით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც საშუალებას, როგორც გზას პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებისთვის სხვა ქვეყნებში.

### ორი განხრა

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ ჩვენში თავი იჩინა ორმა განხრამ: „ურწმუნოება ჩვენში სოციალიზმის აღმშენებლობის გამარჯვებაში, რაც გავრცელებული იყო ტროცკისტებს შორის“, და მეორე—„განხრა ჩვენი რევოლიუციის ინტერნაციონალურ პერსპექტივების დავიწყებისაკენ“.

პარტიამა და ცენტრალურ კომიტეტმა დაჰგმო ეს ორივე განხრა და ბრძოლა გამოუცხადა ამ განხრების ხაზით მიმავალთ.

### ოპოზიციის ძირითადი ხაზი ტროცკიზმია

ეხება რა „ახალი ოპოზიციის ერთი ლიდერის ამხ. ზინოვიევის შეხედულებებს, ამხ. სტალინი ამბობს: „ოპოზიციური ბლოკის შესახე თეზისები სრულ სიმართლეს შეიცავს, რომ ახალი ოპოზიცია გადავიდა ტროცკიზმის მხარეზე სოციალიზმის გამარჯვების საკითხში ჩვენს ქვეყანაში. რაც შეეხება ამხ. კამენევის განცხადებას, რომ ის ეთანხმება ამ საკითხში პარტიას, არ შეიძლება მიღებულ იქნას სერიოზულად, თუ რომ მას არ სურს ჩქარა დაამტკიცოს სიტყვა საქმით და დასტოვოს ბლოკი ტროცკისტებთან.

### უნდა გვესმოდეს მოძრაობის მიზანი

ამხ. სტალინი ეხება ტროცკის სოციალ-დემოკრატიულ განხრებს და ამბობს: „რა საჭიროა ყველა ეს კამათი ჩვენი რევოლიუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ, რა საჭიროა კამათი იმის შესახებ, თუ რა იქნება მომავალში, ან რა შეიძლება იქნეს, უმჯობესი არ იქნება თავი გავანებოთ ამ კამათს და ხელი მოვკიდოთ პრაქტიკულ მუშაობას?“

მე ვფიქრობ, რომ საკითხის ასე დაყენება მცდარია, ვინაიდან მას არაფერი საერთო არ აქვს ლენინიზმთან. არ შეგვიძლია წინსვლა, თუ რომ არ გვეცოდინება წინსვლის მიზანი. თუ ნათელი პერსპექტივები და მიზნები არ იქნება, პარტია ვერ შეძლებს უხელმძღვანელოს აღმშენებლობას. ჩვენ, პირიქით, უნდა დაუმორჩილოთ ჩვენი წინსვლა პროლეტარული აღმშენებლობის ძირითად კლასიურ მიზანს.

### ოპოზიციის პოლიტიკური და ორგანიზაციული შეცდომები

ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური და ორგანიზაციული შეცდომები პირდაპირი გაგრძელებაა მისი მთავარი შეცდომებისა საკითხში ჩვენი რევოლიუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ.

აქ მე მხედველობაში მაქვს საკითხი, როგორიცაა საკითხი პროლეტარიატის ჰეგემონობის შესახებ სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში, საკითხი ინდუსტრიალიზაციის შესახებ, პარტიული აპარატის და პარტიაში „რეჟიმის“ შესახებ. ოპოზიციურ ბლოკს არ ესმის, რომ არ შეიძლება მსხვილი მეურნეობის წინსვლა, თუ რომ გვერდს აუვლით სასოფლო მეურნეობის ინტერესებს და ტლანქად დავარღვევთ მათ. მას არ ესმის, რომ თუ მსხვილი მეურნეობა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი საწყისია, სასოფლო მეურნეობა, თავის მხრივ ის დასაყრდენია, რომელზედაც უნდა განვითარდეს ჩვენი მსხვილი მეურნეობა (ინდუსტრია).

### გლეხობის ფენებად დაყოფის შესახებ

ოპოზიციამ დიდი პანიკა და ხმაურობა ასტეხა სოფლის ფენებად დაყოფის გამო. ყველამ იცის, რომ იმდენი პანიკა არავის გაუვრცელებია სოფლად კერძო კაპიტალის ზრდის შესახებ, როგორც ოპოზიციას. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ არსებითად? აი რას: როგორც ამხ. რიკოვის მოხსენებიდან დავინახეთ კერძო წვრილი კაპიტალის ზრდას სოფლად ჩრდილავს და წინ უსწრებს ჩვენი ინდუსტრიის ზრდა.

### ოპოზიცია ცდილობს დაასუსტოს დისციპლინა პარტიაში

ოპოზიციის ბრძოლა პარტიულ აპარატის წინააღმდეგ წარმოადგენს ცდას შეტანილ იქნას დეზორგანიზაცია პარტიის ხელმძღვანელობაში, განიარაღებულ იქნას პარტია ბრძოლაში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისთვის, ბიუროკრატიზმის ამ აპარატიდან განდევნისთვის, სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობისთვის.

საით მივყევართ ოპოზიციის ბრძოლას პარტიის „რეჟიმის“ წინააღმდეგ? იქეთ, რომ შესუსტებულ იქნას სასიცოცხლო დისციპლინა პარტიაში, ურომლისოდაც შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურა, იქეთ, რომ შესუსტებულ იქნას ბოლოს და ბოლოს პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლები.

### პარტია სოციალისტური აღმშენებლობის ძლიერი ბერკეტია

ოპოზიციური ბლოკის დამარცხებით, სადაც მან უარი სთქვა ფრაქციულობაზე, პარტიამ მიაღწია იმ მინიმუმს (უმცირესს), ურომლისოდაც ფიქრიც არ შეიძლება პარტიის მთლიანობაზე. მაგრამ ეს არ კმარა. სრული მთლიანობისათვის საჭიროა კიდევ ნაბიჯი წინ, რათა უარყოს ოპოზიციამ თავისი პრინციპიალური შეცდომები და უზრუნველვყოთ ამ რიგად ლენინიზმი რევიზიის ცდებისაგან.

ეს—პირველი დასკვნა.

ნაკლები ლაყბობა, მეტი შემოქმედებითი მუშაობა, წინ სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე! —ეს მეორე დასკვნა.

მესამე დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ შინაპარტიულ ბრძოლის სვლაში პარტია შემჭიდროვდა ოპოზიციის გამოსვლების წინააღმდეგ, — ისე, როგორც არასდროს,—ჩვენი აღმშენებლობის სოციალისტური პრესპექტივების საფუძვლებზე.

ბრძოლამ შეამჭიდროვა ჩვენი პარტია მისი ცეკას გარშემო. კონფერენციამ უნდა მისცეს სახე ამ შემჭიდროებას იმით, რომ ის, ვიმედოვნებ, ერთხმად მიიღებს ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ თეზისებს.

ეჭვი არ შემდის, რომ კონფერენცია კეთილ სინდისიერად აასრულებს თავის ამ საქმეს.

**(კონფერენციის მონაწილენი ფეხზე ამდგარი და ხანგრძლივი ტაშით აცილებენ ამხ. სტალინს.**

## კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო.

### ამხ. კამენევის სიტყვა.

ამხ. კამენევი თავის სიტყვაში უარყოფს ოპოზიციის სულიერ განწყობილების დაცემას. „ოპოზიცია—ამბობს ის—არ მოუხრია ქედი არც ნეპმანის, არც ბობოლას, არც საერთაშორისო ბურჟუაზიისა და საერთაშორისო ბირჟის, არც მე-2 ინტერნაციონალის წინაშე.

ოპოზიცია სავსებით იზიარებს იმ აზრს, რომ ჩვენი სახელმწიფო პროლეტარულია, მაგრამ ჭარბი გლეხური მოსახლეობით.

შემდეგ ამხ. კამენევი ამტკიცებს, რომ მსოფლიო მდგომარეობისა და მსოფლიო ისტორიის დღევანდელ საფეხურის დაფასებაში არ არის აზრთა სხვადასხვაობა პარტიის უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის.

— თქვენ უფლება გაქვთ—ამბობს ამხ. კამენევი—გვკითხოთ: რომ გაიძულად თქვენ განგაში აგეტეხათ? ჩვენ ავტეხეთ განგაში იმიტომ, რომ ვფიქრობდით, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასიურ კონკრეტ ურთიერთობის დაფასებაში 1925 წლიდან პარტია არ იდგა სწორ გზაზე. ჩვენ, ჩვენს მოვალეობად ვსთვლით მიგვეთითოდ ამაზე, ხმა მაღლა დავიძახოდ ამის „შესახებ. ჩვენ ვერ შევსძელით პარტია დაგვერწმუნებია და ჩვენ არ გვინდა მოვახვიოთ მას ჩვენი შეხედულებები.

დასასრულ ამხ. კამენევი აცხადებს, რომ უთანხმოების არსებობა არ მოახდენს გავლენას ოპოზიციის შეხედულებებზე მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკულ მუშაობაში, მაგრამ რეზოლიუციის მიღება, ბრალდებით ოპოზიციის მათ დემოკრატიულ გადახრაში მეტად გააძნელებს ამ შესაძლებლობას.

### ამხ. იაროსლავსკის სიტყვა.

ამხ. იაროსლავსკი ნათლად ასურათებს ოპოზიციის შემცდარ დებულებებს და ამბობს:

ამხ. კამენევის სიტყვები ვერ დაგვამშვიდებს ჩვენ იმაში, რომ ოპოზიციური ბლოკი არ გააგრძელებს ბრძოლას პარტიას წინააღმდეგ მთელ რიგ ძირითად საკითხებში. მთელი ეს ოპოზიციის მოქმედება არის პოლიტიკური ავანტიურიზმი. დასასრულ ამხ. იაროსლავსკი ამბობს:

ჩვენ დღეს ვაცხადებთ მთელი ოპოზიციის საყურადღებოთ, რომ „სანგრები წვრილბურჟუაზიულ გავლენის წინააღმდეგ ჩვენ პარტიაში უნდა გვეჭიროს როგორც წესი და რიგია,“ და რომ „სანგრები სოციალ-დემოკრატიული გავლენის წინააღმდეგ ჩვენ ორმაგი სიმტკიცით გვეკავება“. მე-13 ყრილობაზე ამხ. კამენევი ბოლშევიკურად, სწორად იცავდა ლენინის პარტიას, ხოლო დღეს კი ის თითონ ჩაჯდა ტროცკისთან ერთად ბურჟუაზიულ სანგარში პარტიის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ამოვყაროდ ისინი ამ სანგრებიდან. უნდა დაუმტკიცოდ მთელ პარტიას, რომ ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურად გაკოტრებულებს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

### ამხ. ტროცკის სიტყვა

ამხ. ტროცკი თავის სიტყვაში ჩამოსთვლის ოპოზიციის ძირითად დებულებებს და მიუთითებს:

ჩვენ ვამბობთ, რომ ინდუსტრიალიზაციის შენელებული ნაბიჯით წინსვლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს სოფლის ფენებად დაყოფის პროცესს. ჩვენ მოვითხოვდით, რომ საჭიროა უფრო მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა სოფლის ყველა სხვა ფენებისათვის.

შემდეგ ამხ. ტროცკი აცხადებს, რომ სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილია მხოლოდ ევროპის პროლეტარიატის ძლევამოსილ რევოლიუციასთან ერთად.

„რომ ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ—ამბობს ტროცკი—ეს სწორია. რომ ჩვენ მას მსოფლიო პროლეტარიატთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ავაშენებთ—უდავოა. მაგრამ მე ვამბობ, რომ კუს ნაბიჯით ჩვენ სოციალიზმს ვერას დროს ვერ ავაშენებთ, ვინაიდან ჩვენ უფრო და უფრო სასტიკ კონტროლს გვიწევს მსოფლიო ბაზარი. არ შეიძლება საკითხი დაისვას ისე, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება საერთაშორისო საქმეებზე განდგომით. განდგომა შეუძლებელია: შესაძლებელია იანვარში შიშველი გაიარო მოსკოვში თუ განუდგები ამინდს და მილიციას, მაგრამ მე ვამბობ, რომ არც ამინდი და არც მილიცია თქვენ არ განგიდგებათ, თუ რომ ასეთ ცდას მოახდენთ. არ შეიძლება განუდგე მსოფლიო მეურნეობას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი აღმშენებლობა არასოციალისტური იყოს, ან და ჩვენ არ შეგვეძლოს მთელი ენერგიით მისი წინ წაწევა.

### ამხ. ლარინის სიტყვა.

აკრიტიკებს რა ოპოზიციის დებულებებს ინდუსტრიალიზაციის შესახებ, ამხ. ლარინი ამბობს:

ოპოზიციის ძირითადი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მიდიან ახალ ლოზუნგამდი: „რუსეთის მუშებო, იფიქრეთ მხოლოდ თქვენი ფაბრიკების გაძლიერებაზე.“ ვფიქრობ, რომ ამ ლოზუნგს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროდ და უპირისპირებთ ჩვენს ძველ ლოზუნგებს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.„

### ამხ რუდზუტაკის სიტყვა

ამხ. რუდზუტაკი ამბობს: როცა კამენევს კითხეს, გვაქვს თუ არა ჩვენ სახსარი ინდუსტრიალიზაციის ტემპის უფრო გასაძლიერებლად —პასუხად მან განაცხადა: რომ არის—ნეპმანი და ბობოლა.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი იმას კი არ უნდა ემყარებოდეს, რომ ჩვენ სახსარს მივიღებთ ნეპმანისა და ბობოლასაგან, არამედ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალებს.

ტროცკის გამოსვლების შესახებ რუდზუტაკი ამბობს:

ტროკცი მთელი საათი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ქვეყანას არა აქვს ისითი ძალები და ტექნიკური პირობები, რათა ჩვენ სხვა ქვეყნების დაუხმარებლად შეგვიძლოს სოციალიზმის შენება და აშენებაო. და ამის შემდეგ ის მაინც მოდის და ამტკიცებს, რომ არავითარი ურწმუნოება მუშათა კლასის ძალაში და სოციალიზმის აღმშენებლობაში მას არა აქვს. ამხ. ტროცკისა და კამენევის გამოსვლებს ჩვენი პარტია დიდი ყურადღებით უნდა შეხვდეს. ჩვენ უფრო უნდა შევამჭიდროვოდ ჩვენი რიგები და ბოლო მოუღოთ ოპოზიციის დაბნეულობას, ვინაიდან იმ იდეური მარაგით, რომელიც გამოგვილაგა აქ ჩვენ კამენევმა და ტროცკიმ, ჩვენი პარტია ვერ შესძლებს მუშაობას.

### ამხ. ზინოვიევის სიტყვა

ამხ. ზინოვიევი ჩამოთვლის რა უთანხმოებებს ოპოზიციასა და პარტიის შორის, ჩერდება სოციალიზმის აღმშენებლობაზე ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ მოგვაწერენ აზრს—ამბობს ის—თითქოს ჩვენ გვეთქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობა დაუძლეველი დაბრკოლება იყოს სოციალიზმის აღმშენებლობის გზაზე ს. ს. რ. კ-ში. ეს მართალი არ არის. ლენინი კარგად გრძნობდა ჩვენს ტეხნიკურ ჩამორჩენილობას, მაგრამ ის არასდროს არ სთვლიდა მას დაუძლეველად. ამ თვალსაზრისზე ჩვენ ვიდექით და მომავალშიც ვიდგომებით.

როცა ჩვენ გვეკითხებიან—ავაშენებთ თუ არა ჩვენ სოციალიზმს —ჩვენ ვამბობთ დიახ, ავაშენებთ. როცა ჩვენ გვეკითხებიან, როგორ ავაშენებთ მასო, ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ავაშენებთ მას სხვა ქვეყნის მუშებთან კავშირში, მსოფლიო რევოლიუციასთან კავშირში და რასაკვირველია ჩვენი საკუთარი ქვეყნის გლეხობასთან და კოლონიალურ ერებთან კავშირში.

### ამხ. ბუხარინის სიტყვა.

### რას შესახებ სდუმს ოპოზიცია?

ამხ. ბუხარინი პირველ ყოვლისა მიუთითებს, რომ ოპოზიციამ კონფერენციაზე ყველაფერი არ სთქვა რასაც წინად ამბობდა. ხოლო წინად კი ნათქვამი იყო, რომ პარტია ახრჩობს პროლეტარიატსო; ტროცკი ამბობდა, რომ პარტიის წარმომადგენლები რევოლიუციის მოსაფლავენი არიანო. ნათქვამი იყო, რომ ჩვენი პარტია გადადის პროლეტარული რევოლიუციის ლიანდაგიდან, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა შორდება მშრომელი მასების ინტერესებსო და სხვა. ყოველივე ამის შესახებ ოპოზიციას აქ არაფერი უთქვამს. არ გამოსულან აგრეთვე სამეურნეო საკითხებში, რატომ? იმიტომ, რომ მათი მტკივანი ადგილი არის ეკონომიური პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეკონომიურ საკითხებში იმდენად ხმაურობენ. არ გამოსულან ეკონომიურ პოლიტიკის სხვა საკითხებშიაც.

### ბელადების დამარცხება

შემდეგ ბუხარინი აღნიშნავს: როგორც ოპოზიციის ბელადების გამოსვლებიდან სჩანს ისინი სავსებით ძველ პოზიციაზე სდგანან, ისინი ამ ჟამად ამტკიცებენ, რომ მათ იმიტომ დაიხიეს, რომ შეეშინდათ პარტიაში განხეთქილებისა. ეს განხეთქილება ამ ჟამად შეუძლებელია ვინაიდან მთელი პარტია შემჭიდროებულია.

### ძველი იდეური მარაგით.

ეხება რა ამხ. ტროცკის შეხედულებებს ამხ. ბუხარინი ამბობს:

ამხ. ტროცკი გვეუბნება, რომ ჩვენში სოციალისტური აღმშენებლობის გაძლიერება შეუძლებელია გარეშე სახელმწიფოს დაუხმარებლად. ჩვენ ვამბობთ, რომ შესაძლებელია განვითარების ასეთი ტემპი. რაც შეეხება სოციალიზმის აშენებას ერთ ქვეყანაში ამის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: ჩვენი შინაური ძალთა შეფარდება და სახსარი საკმარისია ახალი სოციალიალისტური საზოგადოების ასაშენებლად, ხოლო ინტერვენციისა და ომების გარანტიათ ჩაითვლება მხოლოდ საერთაშორისო ძლევამოსილი რევოლიუცია; ჩემის აზრით—ამბობს ბუხარინი— ამხ. ტროცკის სიტყვა გვიჩვენებს, რომ ტროცკის არც ერთი თავისი აზრი არ უარუყვია და მთელი თავისი იდეური ბაგაჟი ხელუხლებლად შეინახა.

### ამხ. კამენევის პოზიციის შესახებ

ჩვენ ვაყენებდით საკითხს სოციალისტური აღმშენებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, ხოლო ამხ. კამენევი კი უსაყვედურებს სტალინს და ამბობს: „ნახეთ რა სწერია ჩვენი რევოლიუციის შესახებ „სოციალ-დემოკრატის“ თეზისებში. იქ სწერია რომ ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულ დემოკრატიულია“.

მაგრამ როგორ აყენებდა საკითხს ლენინი მის თეზისებში? ის აყენებდა საკითხს აქ რევოლიუციის გამოსავალ წერტილის შესახებ, იმ რევოლიუციის პირველი საფეხურის შესახებ, რომელიც განვითარების მი ფაზაში ეს სრულიად სწორი იყო, მაგრამ ამხ. კამენევი აქ პოლიტიკურად სვამს წერტილს, როცა ჩვენ ვარჩევთ საკითხს სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში.

ამხ. კამენევი ამბობს: თუ რომ სწორია თქვენი შეფასება, თუ რომ ჩვენი ბობოლა პატარაა, ნეპმანი პატარაა, კერძო კაპიტალის დაგროვება პატარაა, მაშინ რით ავაშენებთ ჩვენ სოციალიზმს? მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან. თუ რომ ვიფიქრებთ, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება მხოლოდ ნეპმანისა და ბობოლას დაბეგვრის ხარჯზე, აქ უნდა იგულისხმებოდეს კერძო კაპიტალისტური დაგროვება, რომლის პირობებშიც მთელი ჩვენი სოფელი მიდის კაპიტალისტური გზით, როცა ჩვენი ვაჭრობა მომეტებულ ნაწილად კაპიტალისტური გზით მიდის.

ეს არის უარყოფა სოციალისტური რევოლიუციის შესაძლებლობისა სოფლად, ეს არის ლენინის საკოოპერაციო გეგმის უარყოფა.

# ახალი ცვლა მოდის

## ...ლოწვეულები ჩვენს ლეგიონში

1 ლი ქართ. მსრ. ლეგიონი

...ენი ლეგიონი კ რგა ხანია ...ემზადა ახალ ცვლის შე...რად. ყველა ასეული აწ...ა ლენინის კუთხეს, აკრავ...ზუნგებს და სხვა. მოწ...ლი იქნა აგრეთვე სხვა ...სხვა დარგში ხელმძღვანელ ...გადასამზადებელი სემინა...

...ქტომბრის მე 9 წლის თავ...ვენს ლეგიონს ესტუმრენ ...ეთ ოსეთიდან 1904 წ. ...დებულები, რომლებსაც დი...ზეიმით შეხვდა მთელი ლე...ნი.

...სვლის თანავე აწოლწვეუ...ს მიესალმენ ძველი წ. არ...მიელები. ბოლოს შევიყვანეთ კარანტინში.

კარანტინი მორთულია პლაკატებით, სურათებით, გამოფენილია კედლის გაზეთები. მოწყობილია სამკითხველოები, სადაც მრავლად მოიპოვება ბროშურები, გაზეთები და სხვა სასკოლო საგნები. ახალწვეულებთან იმართება საუბრები. ვაცნობთ კარანტინის მნიშვნელობას და სხვა. ეტყობა, რომ ახალწვეულებს დიდი სურვილი აქვთ ცოდნის შეძენის.

მიღებულთა შორის 40 % უცოდინარია.

ბ. ვარდია.

## ...ახალი ცვლა თანდათან ავსებს ყაზარმას

1ლი ა...ტლეგიონი.

...ეგიონში უკვე დაიწყო მოსვლა ...4 წ. დაბადებულ ახალგაზრ...ამ. რამოდენიმე დღე კიდევ ...ლეგიონში სრულიად შეივსება ...2 წ. დაბადებულ და შვებუ...აში წასულთა ადგილები ახა...ცვლით.

...ეგიონი კარგად მომზადებული ...ება ამხანაგებს. მოწყობილია ...რმა, კარანტინი. შემუშავებუ... იქნა პოლიტსაათების ცხრი... რომელიც ჩატერებული უნდა ...ს ახალწვეულებთან, როგორც ...ანტინში ყოფნის, ისე ყაზარ...ი გადასვლის შემდეგ.

ჯერ-ჯერობით მოსული ცვლა კარგად გამოიყურება. ეტყობათ თავისი მომავალი ცხოვრებისადმი ინტერესი. ყურადღებით ათვალიერებენ ყველაფერს და გულდასმით ისმენენ საუბრებს.

ლეგიონი შესძლებს სათანადოთ მომზადებული მეომრები გამოიყვანოს მათგან არა მარტო სამხედრო საქმეში, არამედ კულტურულადაც, რომ სამსახურის დასრულების შემდეგ მათაც შეიტანონ თავიანთი წვლილი ჩვენი სოფლების აყვავებისა და განთავისუფლების საქმეში.

გორგაძე.

## ...ალი ცვლის შესახვედრად უკვე მზად ვართ

მე 2 ლეგიონი

...ეგიონში ეს რამოდენიმე დღეა, ...სრულიად დასრულდა ყაზარ...ს შეკეთება და მისი მოწყობა. ...რმა შეთეთრებული იქნა. მო...ო და მორთული იქნა ლენი...კუთხეები ლეგიონის ყველა ...ლებში; ძველი წითელ არმიე...ი დიდ ხალისს იჩენდენ მუ...ბის დროს. კარგად არის მოწ...ილი აგრეთვე ნაწილის კლუბი. ...მატიული დასი შემდგარია და ...დება ახალწვეულთა მოსვ...თვის სადღეისო ხასიათის პიე...ს დადგმისათვის.

...რედაქციო კოლეგიები ემზა...იან კედლის გაზეთების გამო...ვებათ.

ამას გარდა ძველ წითელ არმიელებთან გამუდმებით მიმდინარეობს მეცადინეობა, რათა საკმაო გამოცდილებითა და ცოდნით დახვდენ ახალწვეულებს და თამამად შესძლონ მათი დაკმაყოფილება შეკითხვების მიცემის დროს. ასევე ენერგიულად მეცადინეობენ ნაწილის უმცროსი მეთაურებიც.

ყაზარმა უკვე მზად არის ძვირფასი სტუმრების და თავისი მომავალი წევრების მისაღებად. ლეგიონი ღირსეულად შესძლებს წარმატებით წაიყვანოს მათი სამხედრო-პოლიტიკურ-კულტურული აღზრდის საქმე.

შ. რ.

## მომზადებული ვხვდებით

ცხენ. ლეგიონი.

კიდევ ორიოდე დღე და ჩვენი ყაზარმა შეივსება 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდობით, რომლებმაც უნდა მიიღონ ჩვენს რიგებში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და კულტურული ცოდნა.

ჩვენ ძველი წითელ არმიელები, რომლებიც ვხვდებით მათ ყაზარმაში ვალდებულად ვხდით თავს, რათა მთელი ჩვენი ცოდნა და გამოცდილება გადავცეთ მათ და ხელი შევუწყოთ მათი გაწვრთნისა და მომზადების საქმეს. ჩვენ ყოველმხრივ მომზადებული ვხვდებით მათ. მოწყობილი გვაქვს ლენინის კუთხეები, ემზადება კლუბი, იძენენ კინო სურათებს, ვამზადებთ პიესებს, ვაწყობთ ყაზარმებს პლაკატებითა და ლოზუნგებით და სხვა.

ლეგიონის მესვეურებმა საჭიროა მხოლოდ ყურადღება მიაქციონ, რათა მეტი რაოდენობით იქნეს გამოწერილი გაზ. „წითელ არმიელი“, რომ დავაკმაყოფილოდ ახალწვეულები. ამისათვის ეხლავე არის საჭირო ზრუნვა.

„ძურხული“

## სემინარის მუშაობა ჩვენთან

1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონი

ნაწილში ახალ ცვლის შესახვედრად წინასწარ მუშაობაში ჩამოყალიბებულ იქნა ბიურო-კოლექტივის ხელმძღვანელობით. ახ. ლ. კ. კ. ორგანიზატორთა გადასამზადებელი სემინარი, რომლის მსმენელთა რიცხვი აღწევს 20 წ. არმიელამდე. მეცადინეობა სისტემატიურად ტარდება ყოველ დღე.

მეცადინეობის დაწყების პირველ ხანებში გავდიოდით პარტიის და კ. კ. წესდებებს, ორგანიზაციულ წყობას და ჩვენ სოციალისტურ მშენებლობას.

მეცადინეობა ტარდება ლექციური მეთოდებით და დიდ ნაყოფსაც იძლევა (მოთვისების უნარიანობა აღწევს 80 პროც.) მსმენელები ეცნობიან პოლიტკაბინეტის მუშაობას მის სხვა და სხვა განყოფილებებს, პარტგანათლების სკოლის გარეშე და სასკოლო მუშაობასაც, მალე ამოვწურავთ გეგმაში გათვალისწინებულ თემებს. ჩვენი სემინარი მისცემს ასეულებს სათანადო გაწვრთნილ და გამოცდილ ჯგუფის ორგანიზატორებს, რომლებიც გაუძღვებიან მომავალ მუშაობას ახალწვეულების აღსაზრდელად.

ბ. ვ—და.

## საზეიმო საღამო

2-ე ლეგიონი

6 ნოემბერს ლეგიონში მოწვეული იქნა დიდი ოქტომბრის შესახვედრი საზეიმო კრება, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ლეგიონის თავი და სხვა მეთაურები. დაწვრილებით იქნა აღნიშნული მუშურ გლეხური ხელისუფლების მიღწევები და ის თუ როგორ იმედით ხვდება მშრომელთა ქვეყანა დიდი რევოლიუციის მეათე წლის დასაწყისს.

შემდეგ ნაჩვენები იქნა რევოლიუციონური ცხოვრებიდან კინო-სურათები. საერთოდ საღამო დიდი ზეიმით იქნა ჩატარებული. წითელ არმიელები აღფრთოვანებით ეგებებოდენ სიტყვებს.

ა. ჩიქობავა.

# 7 ოქტომბრის დღესასწაული ნაწილებში

## ოქტომბრის დღესასწაული ჩვენთან

1-ლი ართლეგიონი.

ოქტომბრის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად ნაწილი თანდათან ემზადება, რომ ღირსეულად შეხვედროდა პროლეტარიატის განთავისუფლების დღეს. ჩამოყალიბებული იქნა საზეიმოთ ნაწილის ყველა ლენინის კუთხეები. გამოშვებული იქნა სამი კედლის გაზეთი ლეგიონის მასშტაბით. კლუბმა დაამზადა დიაგრამები ლეგიონის აღმშენებლობის შესახებ.

6 ნოემბერს გაიხსნა საზეიმო სხდომა, რომელზედაც დაწვრილებით იქნა გაშუქებული ჩვენი მიღწევები.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ყურულაშვილი, რომელიც შეეხო მთელი საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღმშენებლობასა და მიღწევებს გასული წლის განმავლობაში. ლეგიონში გვესტუმრენ აგრეთვე შეფი და წარმომადგენლები სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან, რომლებიც მიესალმენ წითელ არმიელებს და უსურვეს კიდევ მეტი წარმატება სამხედრო მომზადებაში.

დასასრულ კლუბთან არსებულ „ლურჯ ხალათიანების“ მიერ გაშვებული იქნა სხვა და სხვა ნომრები. სანიტ-კლუბთან არსებულ რუსულ ხალათმაც გაუშვა რამოდენიმე ნომერი. საერთოდ დღესასწაულის შესახვედრად მოწყობილ საღამომ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე.

ა. არველაძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან

3-ე ლეგიონი

ნაწილის კომუჯრედს კავშირი აქვს ადგილობრივი სახერხი ქარხნის კომუჯრედთან. ჩვენი ერთმანეთთან დამოკიდებულება და კავშირი უმთავრესად გამოიხატება შემდეგში: ქარხანაში მოწყობილი გვაქვს სამხედრო კუთხე, სადაც შეძლებისდაგვარად სწარმოებს მეცადინეობა უჯრედის წევრებისა და საერთოდ მუშების გასამხედროების მიზნით.

ხშირად ხდება აგრეთვე უჯრედების გაერთიანებული კრებები, სადაც ვაცნობთ ერთმანეთს საკუთარ მუშაობას. სწარმოებს ამასთანავე ერთად ოქმების გაცვლა გამოცვლა და წარმომადგენლობითი სისტემით ერთიერთმანეთის კრებებზე დასწრება.

ჯერ ჯერობით ეს კავშირი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა მხოლოდ კიდევ უფრო გაღრმავდებოდეს მეცადინეობა გასამხედროების დარგში.

ხ. პაპიაშვილი

**სამხედრო!** ნუ შესუსტებ წერილების წერას. მოიწერე როგორ ტარდება რედკოლეგიების და პარტახკომკავშირის უჯრედების მუშაობა. სწერეთ ახალწვეულთა მიღებისათვის ყაზარმაში წარმოებულ სამზადისზე.

# ...ითელი არმია ოქტომბრის მეათე წლის ზღესთან

კავკასიის წ. დროშოვან არმიის სარდლის ამხ. ლევანდოვსკის საუბრიდან.

...ქტომბრის მეცხრე წლის თავ... წითელ არმიას მნიშვნელოვანი ...წევები აქვს ყოველ დარგში. ...ლითად სასროლო მომზადების ...გში წარსულ წელთან შედა...ით ჩვენი ნაწილები უფრო ...ზადებული არიან. უნდა აღი...ნოს აგრეთვე მნიშვნელოვანი ...წევები დისციპლინის განმტკი...ის საქმეში. ამაღლებულ იქნა ...ი მეთაურების პასუხისმგებ...ბის შეგნება დისციპლინარულ ...ქტიკის გატარებაში და გა...ავებულ იქნა რევოლიუციური ...ლეობის შეგნება წითელარმი...ების მხრივ.

...მატერიალური მდგომარეობა ...იისა გაცილებით უკეთესია, ...ემ გასულ წლებში, და მძიმე ...ენტები არმიის მომარაგების ...გში, რომელსაც ადგილი ჰქო...ა წინად, საგრძნობლად შემსუ...ქებულია. ავადმყოფობასა და ...ლემიას არმიაში ადგილი არ ...ა.

...საგრძნობი მიღწევები გვაქვს ...ეთვე ტერიტორიალურ ნაწი...ბის სწავლების საქმეში. მათი საბრძოლო უნარიანობა არ ჩამორჩება ამ ჟამად კადრის ნაწილებისას. ამრიგად მეცხრე წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტერიტორიალური აღმშენებლობის პრინციპმა მოლოდინი სავსებით გაამართლა.

ჩვენი წითელი არმიის ცხოვრებაში ახალ საფეხურს წარმოადგენს სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებლების გასამხედროება, თადარიგის მეთაურთა მომზადების მიზნით. ამ დარგში ჩვენ ვსდგავთ პირველ ნაბიჯებს, რათა დავუახლოვოთ მშრომელი მოსახლეობა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის მიერ სამხედრო საქმის შესწავლასა და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის პრინციპებს.

ზოგიერთ ნაკლულოვანებასაც აქვს ადგილი წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებაში, მაგრამ ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს მცირე სახსარით. საბჭოთა კავშირის ეკონომიურად მოღონიერებასთან ერთად ეს ნაკლულოვანებანი აუცილებლად გამოსწორებული იქნებიან.

საჭიროა აღინიშნოს და მივაქციოთ ჩვენი უფროსთა შემადგენლობის ყურადღება დისციპლინარული პრაქტიკის გატარების რიგიდან ზოგიერთ მომენტებს. არმიის არსებობის ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორზე მიღწეული უნდა იქნეს მეგობრული გაფრთხილებითი მოპყრობა ხელქვეითთა და წითელარმიელთა მასის მიმართ. პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება საკუთარი ნაწილისათვის და დისციპლინარული პრაქტიკის გატარება არმიაში— არის ჩვენი შემდეგი ძირითადი ამოცანა.

შემდეგი საფეხური, რომელიც იპყრობს მთელი წითელი არმიის ყურადღებას, არის—თადარიგის მეთაურთა გადამზადება, მისი დაახლოება წითელ არმიასთან, რომ რაიმე გართულების შემთხვევაში გვყავდეს საიმედო, მტკიცე და მომზადებული მეთაურთა შემადგენლობის კადრები. მიმდინარე წელში ჩატარებული იქნა ჩვენთან თადარიგის მეთაურთა პირველი გამოწვევის ცდები, და ზოგიერთ სიძნელეებთან ერთად ამ საკითხის გადაწყვეტაში, მიღებული იქნა საგრძნობი წარმატებებიც.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-10 წლის დასაწყისში ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის სამუშაო დღის გაწესრიგება და ნორმალიზაცია.

მომეტებულ დატვირთვას, სამუშაო დღის განაწილების არ ცოდნას, მივყევართ იქამდე, რომ მეთაურთა შემადგენლობა ზედმეტი მოქანცვის გამო ადრე გამოდის რიგებიდან და ამით დიდი ზიანი მოსდის ჩვენი შეიარაღებულ ძალების აღმშენებლობასა და მისი საბრძოლო მომზადების საქმეს.

მომჭირნეობის რეჟიმის გატარების მიზნით ჩვენ მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით უნდა ვატაროთ პარტიის ხაზი სახალხო დოვლათისა და თითეული საბჭოთა კაპიკის შენახვის საქმეში.

წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის შემცირება, რომელიც ამ ხანებში ჩატარდა, წარმოადგენს უკიდურესად აუცილებელ და სასიცოცხლო ზომას.

უნდა ვისურვოთ, რათა დათხოვნილი მეთაურთა შემადგენლობის უზრუნველყოფის პრინციპი, მისი მოწყობა სამოქალაქო სამსახურში, უზრუნველყოფა სათანადო მატერიალური და უფლებრივი შეღავათებით შემდეგშიაც ტარდებოდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თითეული მეუმფროსე პირი რა თანამდებობისა და კატეგორიისაც არ უნდა იყოს ის, მოწყობილი იქნება შესაფერის ადგილზე სამოქალაქო დაწესებულებაში. ეს ზომა რასაკვირველია, სათანადო სარგებლობას მოუტანს საბჭოთა ორგანოებსაც მათი გასამხედროების, შრომის დისციპლინის ამაღლების საქმეში და სხვა.

ჩვენი ამოცანა ამ საკითხში წითელი არმიის ნაწილებიდან გადაყვანილ მეთაურთა შემადგენლობის სამოქალაქო სამსახურში მოწყობასთან ერთად არის—მოვაწყოთ აგრეთვე სათანადო თანამდებობაზე თადარიგის მეთაურთა უმუშევარი შემადგენლობაც, რომელიც წარმოადგენს ჩვენს სამობილიზაციო კადრს.

ამ დღეებში წითელ არმიაში შემოვა ახალი ძალები ქალაქიდან და სოფლიდან. ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგები თავის მშობლიურ ოჯახიდან მოდიან ისეთსავე მშობლიურ ოჯახში—არმიაში და ჩვენი დღევანდელი ამოცანაა—ჩვენი ძმური მოპყრობით ახალწვეულთადმი, მზრუნველობით მათ შესახებ, ვაგრძნობინოთ, რომ წითელ არმიაში მოსვლით ისინი მართლაც მოდიან ოჯახში, რომელშიაც მათ დახვდებიან ახლობლები, კლასიური შემადგენლობით და თვისი ინტერესების თანაზიარობით. ამასთან ერთად მათი უფროსი ამხანაგების ამოცანაა—გადასცენ ახალწვეულს თავიანთი რევოლიუციური ტრადიციები, სამოქალაქო ომის გამოცდილება, თავიანთი ცოდნა ჩვენი პროლეტარული ქვეყნის თავდაცვის საკითხებში, მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური გარემოცვის სტიქია სერიოზულ საფრთხედ რჩება ჩვენთვის დღევანდელ დღემდისაც.

ვესალმებით რა ახალწვეულების მოსვლას, უნდა გამოვსთქვათ სურვილი, რათა მათ, ამ ახალ ძალებმა უფროსი ამხანაგების—მეგობრების და ძმების მაგალითის მიხედვით ფხიზლად ადევნონ თვალყური მდგომარეობას, შეუპოვრად იდგნენ თავის რევოლიუციურ საგუშაგოზე, აძლიერონ მუშურ-გლეხური მასების საბრძოლო კავშირი და კიდევ უფრო მაღლა ასწიონ პროლეტარული მასების ბელადის—ლენინის—სრულიად საკავშირო კომპარტიის დროშა.

გაუმარჯოს წითელ ოქტომბრის მეცხრე წლის თავს—სოციალურ მოძრაობის შთანგს მთელს ქვეყანაზე, რომელმაც გაალო კაცობრიობის ახალ ყოფა-ცხოვრების კომუნიზმის კარები.

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს და მის შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალს.

# სირიაში კვლავ აჯანყდა დაპყრობილი მოსახლეობა

## ბრძოლა ჩინეთში

### კანტონის ჯარები ნან-ჩანში

5 ნოემბერს კანტონის ჯარებმა დაიკავეს ნან-ჩანი. გაზეთების ცნობით ნან-ჩანის დამცველ ჯარების ხელმძღვანელი იძულებული შეიქნა გაეყვანა ქალაქიდან ჯარები, ვინაიდან მათ უარი განაცხადეს კანტონელებთან ბრძოლაზე.

კანტონის ჯარები წინ მიიწევენ ფუ-ცზიანის პროვინციაში. მათ დაიკავეს ჩან-ჩჟოუ და წინ მიიწევენ.

### უ-პეი-ფუ დამარცხდა

ჩილის ჯარების სარდლობა გადუდგა უ-პეი-ფუსა და გადავიდა ცან-კუნის მხარეზე.

უ-პეი-ფუს დაცემას ხსნიან ერთი გენერლის ხრიკებით, რომელმაც უარი განაცხადა ბრძოლაზე უ-პეი-ფუს ხელმძღვანელობით.

### ახალი აჯანყება სირიაში

#### ფრანგები უკან იხევენ

საფრანგეთის ჯარები იძულებული გახდენ დაეტოვებიათ მთელი რიგი პოზიციები ჯებილ-დრუზში.

ფრანგების უკან დახევა აიხსნება იმით, რომ ფრანგების მიერ დამორჩილებულ რამოდენიმე ოლქის მოსახლეობამ, რომლებმაც ვერ გაუძლო მძიმე გადასახადებს, კვლავ აჯანყდა.

## ოქტომბრის წლის თავი

### სსრკ-ს საელჩოში ინგლისში

ლონდონში, საბჭოთა კავშირის საელჩოში, ოქტომბრის რევოლუციის წლის თავის დღესასწაულზე დაესწრო საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის ელჩები და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები. არ დასწრებიან ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

რეაქციონურ გაზეთ „მორნინგ პოსტის“-ს თანამშრომელი, რომელიც ცდილობდა დასწრებას დღესასწაულზე, არ იქნა დაშვებული.

## 7 ნოემბრის მიტინგი ინგლისში

ოქტომბრის რევოლუციის წლის თავის გამო ლონდონში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც მოაწყო დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრმა—ლენსბერიმ.

მონაწილეობა მიიღო ლონდონის რამოდენიმე ათასმა მუშამ.

პარლამენტის წევრმა მუშათა პარტიიდან ტრევილიანმა განაცხადა: „იმის შემდეგ, რაც რომ სსრკ-ს მუშებმა ისეთი დახმარება გაუწიეს მაღაროს მუშებს, სრულიად მოსპობილია შესაძლებლობა, რომ ჩათრეულ იქნას ინგლისის ხალხი რუსეთის ხალხთან ჩხუბში“.

მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მუშები ულოცავენ საბჭოთა კავშირს 9 წლის თავს და მოუწოდებენ ინგლისის მთავრობას დაუყონებლივ მოიწვიოს ინგლის-საბჭოთა კონფერენცია სადაო საკითხების გადასაჭრელად.

რეზოლიუცია მოითხოვს, რათა მუშათა პარტიამ დაიწყოს ბრძოლა ინგლისის დღევანდელი მთავრობის ჩამოსაგდებად.

მიტინგი აღფრთოვანებით ჩატარდა.



## სამხკორის კუთხე

### მეტი ყურადღება სამხკორთა კუთხეების მოწყობას კლუბებში.

სამხკორთა კუთხეების მოწყობას ნაწილების კლუბებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან სამხკორთა კუთხეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლეგიონის სამხკორთა მუშაობისათვის. სამხკორის კუთხის მნიშვნელობა განსაკუთრებით იჩენს თავს ახალწვეულების მოსვლით წითელ ყაზარმაში.

როგორ უნდა იქნეს მოწყობილი სამხკორთა კუთხე?

კარგი იქნება შემდეგი მასალების მომარაგება კუთხის მოსაწყობათ:

1. სამხკორთა დაფა (ფანერისა ან მუყაოსაგან), დაფაზე ჩამოწერილი იქნება სამხკორთა მუშაობისათვის სახელმძღვანელო მასალების სია, მასალები მუშსოფლკორების შესახებ, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის და შენიშვნები საკუთარი ნაწილის შესახებ.

დაფა დაყოფილი უნდა იქნეს განყოფილებებათ სათანადო სათაურებით. ამ მასალების მოწესრიგების საქმეს თვალყურს უნდა ადევნებდეს ნაწილის სამხკორთა ორგანიზატორი.

2. კუთხეში საჭიროა აგრეთვე ნაწილის სამხკორ-მხატვართა რვეული. რვეულში უნდა იხატებოდეს სხვა და სხვა საყურადღებო მომენტები ნაწილის ყოფა-ცხოვრებასა და სწავლებიდან, სხვა და სხვა ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხებიდან—სხვა და სხვა მომენტები და სხვა. ეს რვეული თანდათანობით შექმნის ამნაირად ნაწილის ორიგინალურ ისტორიას, რაც მეტად აინტერესებს მეომრებს ყოველთვის.

რვეულის გარშემო მუშაობას ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ნაწილის სამხატვრო ჯგუფის ხელმძღვანელი.

3. კუთხეში მოთავსებული უნდა იქნეს აუცილებლად დიაგრამები იმის შესახებ, თუ რამდენ ცალ ცენტრალურ—სადივიზიო გაზეთს იწერს ლეგიონი, რამდენი კორესპონდენცია იგზავნება ნაწილიდან რედაქციაში და რამდენი თავსდება გაზეთში.

საჭიროა აგრეთვე დიაგრამა ასეულის სამხკორთა წევრების რიცხვისა და მათი მუშაობის შესახებ.

4. გაზ. „წითელ-არმიელის“ და ლეგიონის კედლის გაზეთების კომპლექტი.

კედლის და შუქის გაზეთებში გამოყენებული ყველა მასალები დაგროვილი უნდა იქნეს სამხკორთა კუთხეში და ამ მასალების ირგვლივ აწარმოებენ სამხკორთა წრეები მუშაობას.

აქვე უნდა ეწყობოდეს რედკოლეგიის მუშაობა, ზეპირი, კედლის გაზეთის და შუქის გაზეთების გამოშვებისათვის. კარგად მოწყობილი სამხკორთა კუთხე ძლიერ იზიდავს წითელ-არმიელთა ფართო მასას.

წითელ-არმიელი წაიკითხავს, შეხედავს, გაეცნობა აღნიშნულ მასალებს კუთხეში და იქვე გადასწყვეტს დასწეროს რაიმე თავისი ნაწილის ცხოვრებიდან. ამისათვის საჭიროა იყოს კუთხეში რვეული კორესპონდენციებისათვის და ფოსტის ყუთი.

ლეგიონის სამხკორთა ორგანიზატორებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ კლუბებში სამხკორთა კუთხეების მოწყობის საქმეს.

ს.

# სამხედრო ქრონიკა

## დებულება წითელ არმიაში სამსახურის გავლის შესახებ.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველოს საკომანდო სამმართველომ გამოიმუშავა პროექტი დებულებისა წითელ არმიაში სამსახურის გავლის შესახებ.

დებულება აწესრიგებს ყველა ბრძანებებს, ცირკულიარებს, ინსტრუქციებსა და სხვა, რომლებიც ეხება მუშურ-გლეხური წითელი არმიის კადრის შემადგენლობის შევსებას, დანიშვნას თანამდებობაზე, დაპატიმრებას, გადაყვანასა და ვლინებას.

1927 წლის იანვრისთვის პროექტი საბოლოოდ დამტკიცდება.

# პასუხი შეკითხვებზე

— ლომაძეს. რაიონს შეუძლია გამოგაგზავნოთ სატრაქტორო კურსებზე. მხოლოდ ეხლა დაგვიანებულია. კომპლექტი შევსებულია.

— სვიმონ ლ—ძეს. უვადო შვებულებაში მიმავალ წ. ა. სამსახური პირველ რიგში უნდა მიეცეთ. (ბრ. № 1520—25 წ.)

— გოქაძეს. თქვენი შეკითხვის შესახებ განკარგულება აქვს შტაბის უფროსს. მიმართეთ მას.

— დურგალს. სამსახურის გათავების შემდეგ თქვენ აღდგენილი იქნებით კავშირის წევრად.

— წ. ა. № 31. სამხედრო უწყებას ადგილი ქონდ დათმობილი, შეიძლება წლეულს თქვენი ნაწილი ვერ მოხვდა.

— იგივეს. შეფობის აღება სოფელზე, რასაკვირველია, შეუძლია. ფოსტით მიაწვდით ჟურნალ-გაზეთებს და დრო გამოშვებით თქვენს წარმომადგენელს გაგზავნით.

— ლევან ნაყაურს. წაიკითხეთ გოქაძეს პასუხი.

— თომას ც. ბრძანებით გატარებულ შტატის მიხედვით გერგებათ ჯამაგირი.

— დიდი ქყონელს. თუ იქნებით გატარებული ბრძანებით, შეგიძლიათ.

— მასვე. კანონიერია.

— გ—იას. წ. ა. ფორმის ქუდის გარდა სხვა ქუდის ტარება არ შეუძლია.

— არმიელს. თქვენი შეკითხვიდან როგორც სჩანს, თქვენ პირველ დივიზიის ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან მოხსნილი ყოფილხართ და თქვენთვის ადგილი უშოვნიათ რედაქციაში, მაგრამ იქაც შემოკლება მომხდარა, ამიტომ თქვენ უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ, რადგან თქვენი წინანდელი ადგილი შემოკლებულია.

— ამირაჯიბს. მიმართეთ სამხედრო პროკურორს.

— კონწლიაშვილს. მიწის გაჩუქება არ შეიძლება. სახ. სასამართლოს განაჩენი შეგიძლიათ გაასაჩივროთ საოლქო სასამართლოში.

— ხარატიშვილს. არ ანთავისუფლებენ.

— გოგოლაძეს. არ შეგიძლიათ საავიაციო სკოლაში თქვენი ცოდნით შესვლა.

— დ. ვ. სამი წყვილი საცვლები.

— გიგაურს. მიმართეთ თქვენი შტაბის უფროსს.

— ა. გ—ურს. ნაწილს შეუძლია გადაგაგზავნოს სამხედრო სკოლაში.

— ა. მაზარა მოგეცემათ.

— ხ—იას. თქვენი ძმის ცოლს თავის შვილებით უფლება აქვს თავისი ნაწილი გაიტანოს.

— ჩე—შვილს. უნდა იმორიგოთ.

— უ. ს. ყაზარმის დასუფთავება თქვენც გევალებათ.

— ქანელს. უნდა მიმართოთ მაზრაში ბეითალს. წამლობა უფასოა.

— ჯაბზიანიზეს. თუ საშუალო მეთაურზე გამოცდები არ ჩაგიბარებიათ, მაშინ უნდა იმსახუროთ ორი წელი.

# ჩვენი ფოსტა

ნ. ადამიას. თქვენი კორესპონდენცია 2-ე ლეგიონის შესახებ გამო- გება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ნ. ჯაფოძეს. თქვენ მიერ გამოგზავნილი ლექსი საეჭვოა, რომ ვენ გეკუთვნოდეთ. ლექსი არ გადის.

შუქს. თქვენი ლექსი „უკანასკნელი წერილი“, თქვენ არ გეკუთვ- როგორც სჩანს ის გადმოგიწერიათ წითელ არმიელთა ქ- ტომატიიდან, აქა იქ გამოგიცვლიათ სიტყვები, მაგრამ უ- ზათოდ. რედაქცია გაფრთხილებას გაძლევთ, რათა მეო- არ იქნეს თქვენ მიერ ასეთი საქციელი ჩადენილი. სხვისი წარმოების მოპარვა ბოროტებაა, რისთვისაც შეუძლიათ, გორც ავტორმა, ისე რედაქციამ პასუხი მოგთხოვოთ.

ახალ სამხკორს. კორესპონდენცია—„არ გვაძინებენ“ გამოდგება კ- ლის გაზეთისათვის.

ი. კუბაშვილს. ლექსი „ოქტომბრის სხივები“ არ გამოდგა. გამ- ზავნეთ სხვა. ლექსი „ძველი წითელ არმიელის სიმღერა“-ც სტია.

შ. კუპატაძეს. კორესპონდენცია ექსკურსიის შესახებ არ გადის. თი იყო ჩვენს გაზეთში.

## წიგნების სარეკომენდაციო სია 1-ლი საფეხურის პარტსკოლების საუბრებ- სათვის.

### განაკვეთი 1-ლი ს. კ. პ. (ბ) და პარტიის წევრებ- ამოცანები.

1. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წესდება— „ზაკკნიგა“ 1926 წ. გვ. 45.
2. ლენინი ნ. ტომი—18 ტ. სახელგამი. 1924. წ. გვ. 5- —604, 664—669, 32—43.
3. ლენინი ნ. წერილები და სიტყვები პარტიულ-აღმშენ- ლობის საკითხებზე. ტ. სახელგამი 1924. გვ. 24—42
4. „ „ საკავშირო კომ. (ბ) პარტიის ც. კ. და საკ. (კ- მისიის პლენუმის რეზოლიუციები (14—23 ივლი- 1926 წ.) ტ. სახელგამი 1926 წ.
5. ლენინი ნ. წერილები და სიტყვები პროფ-მოძრაობის კითხების შესახებ. ტ. „შრომა“ 1926. გვ. 106—12 96—98, 282—284, 344—427.
6. სტალინი ი. კითხვები და პასუხები. ტ. „ზაკკნიგა“ 1925
7. „ „ ს. კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობის რეზოლიუცი- ტ. სახელგამი 1926 წ.
8. ლენინი ნ. ტომი—14 ტ. სახელგამი 1924. გვ. 40—4 57—90.
9. „ „ Книга для сокращенных школ политграмот- Выпуск III, Р. К. П. (б) и Красная Армиа.

**დაკარგე** ახკომკავშირის წევრობის ბარათი № 1136, გაცემული მე-2 საარტილერ- დივიზიონის უმცროს მეთაურ ევგენი ხაჭაპურიძის სახელზე. ჩაი- ვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** მე-4 ქართ. მსრ. ლეგიონიდან გაცემუ- წ. არმიელის სამსახურის წიგნაკი № 4- ალექსი ჯიჩოშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

# უცხოეთის არმიებში

### ტყვიის (გულა) ახალი სახე

ამერიკაში გამოიგონეს ახალი სახის ტყვია, რომელიც წრიულად მოძრაობს. ასეთი ტყვიის სროლა შეიძლება ყოველნაირი სისტემის ჩვეულებრივი თოფიდან; ტყვიას უკანა ნაწილში მოღუნული მობრტყო კუდი აქვს, მოღუნული აქვს აგრეთვე წვერი. ლულიდან გამოვარდნისას ტყვია გადაიხრება პირდაპირი ხაზიდან და მიდის მრუდე ტრაექტორიით, რომლის მოდრეკილობა დამოკიდებულია კუდისა და წვეროს დახრის კუთხისაგან.

ამ გამოგონების საშუალებით შესაძლებელი ხდება ესროლო ხეზე ან სხვა რაიმეზე მოფარებულ მოპირდაპირეს; რა თქმა უნდა ასეთი ტყვიით სროლა მოითხოვს დიდ დახელოვნებას.

### სარეზერვო არმია.

გერმანიის კომპარტიის გაზეთი „როტე ფანე“ აქვეყნებს მეტად საინტერესო ცნობებს გერმანიის ბურჟუაზიის საიდუმლო შეიარაღების შესახებ. გერმანიაში არსებობს საიდუმლო სარეზერვო (თადარიგის) არმია, რომლის შემადგენლობაში ითვლება 124.810 ოფიცერი და 2.99.150 უნტეროფიცერი და ჯარისკაცი, ხოლო სულ—3.019.960 კაცი.

სამხედრო სამინისტროში მუშაობენ ფაშისტი—ოფიცრები. არსებობს იარაღის საწყობები ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში. განსაკუთრებულ ორგანიზაციებს გადააქვთ იარაღი ადგილიდან ადგილზე. არის ყველაგვარი იარაღი, რაც კი აუცილებელია სერიოზულ ომისთვის—ტეხნიკური მოწყობილობა, ჰაეროპლანები და სხვა.

### ახალი შაშხანები გერმანიის არმიაში.

ამ დღეებში გენერალურ შტაბის ოფიცრებისა და სამხედრო ინჟენრების თანდასწრებით ბერლინში მოხდა გერმანელ ინჟენრის მიერ გამოგონილ ახალი თოფის გამოცდა. თოფი ზედიზედ ისვრის 25 ტყვიას. თოფი მოწონებულ იქნა სამხედრო კომისიის მიერ. დადგენილია შემოღებულ იქნას ახალი შაშხანები გერმანიის არმიაში.

### ინგლისელები რეინ-ახ-

გერმანიის დასავლეთ პროვ- ციაში, ეგრედწოდ. რეინის ო- ში, ვერსალის საზავო ხელშეკ- ლების ძალით სდგას ინგლ- საფრანგეთ-ბელგიის ჯარები. ი- ნი კონტროლს უკეთებენ გერ- ნიის დასავლეთ საზღვრებს თვალყურს ადევნებენ, რათა გ- მანიამ არ გახიზრახოს თავდა- დასავლეთ მეზობლებზე და აგოს აქ ადგილებში თავდაც- თვის რაიმე ხაგებობანი. ეს ჯ- რები ინახება გერმანიის ხარჯ-

ინგლისს ჰყავს რეინლანდ- 8.000-მდე ჯარისკაცი. მორიგ შემოდგომო მანევრებზე ინგლ- ლები მოქმედებდენ ვისბადე- (საკურორტო რაიონი) და ქ. კ- ნის რაიონებში. ჩატარებულ ი- „შეტევა“ გერმანიის აღმოსავლ- მხრიდან.

შვიდი წლის ოკუპაციის გა- ვლობაში ინგლის-საფრანგეთის ლებმა პირველად ჩაატარეს შე- თებული მანევრები. ფრანგე- მისცეს ინგლისელებს ესკადრი- რვა ჰაეროპლანით.

მანევრების დროს, როგო- ყოველთვის, რამოდენიმე შეტ- ბას ჰქონდა ადგილი ინგლის- ფრანგეთის ოფიცრებსა და გ- მანიის ადგილობრივ მოსახლეო- შორის.



სამხედრო სტამბა კეცხოველის 7. № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.